ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1935 წ. ივნისის 10. № 14 ტფილისი

შინაარსი

სახალხო მეურნეობის საერთო საკითხები.

71. მატერიალური ბალანსებისა და მასალაწყობილობის განაწილების გეგმების შედგენის ის შესახებ.

72. სამზომო ხელსაწყოების სავალდებულო ლახალი დადაღვის შესახებ.

73. საზომ-საწონი ხელსაწყოების პასპორტიზაის ჩატარების შესახებ.

მშენებლობა.

74. ქალაქების ტერიტორიაზე განსახორციელებელი მშენებლობის ობიექტთა პროექტების ნხილვის წესის შესახებ.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა.

75. საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სალხო კომისარიატის საბჭოთა მეურნეობების რესტის („სამტრესტის") რეორგანიზაციის შეახებ.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა.

76. საბინაო-საიჯარო კოოპერაციის სახლთა ურნეობაში სამეურნეო ანგარიშის საფუძვლეის განმტკიცებისა და სახსართა შექმნის და ოჯვის წესის შესახებ.

ფინანსები.

77. ამიერკავკასიის სატყეო-სატექნიკო ინსტიტუტისათვის და ტფილისის სატყეო-სატრანსპორტო ტექნიკუმისათვის გრძელვადიან სარგებლობაში გადაცემული ტყის ფართობებიდან მიღებული სატყეო შემოსავლის გამოყენების წესის შესახებ.

78. 1935 წელს სრულიად საკავშირო საქციო საზოგადოება „ინტურისტის" ყველა ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღებისაგან განთავისუფლების შესახებ.

შრომა.

79. სტიქიურ უბედურებასთან საბრძოლველად შრომის ბეგარის დაწესების თაობაზე გამოცემული დადგენილების 18 მუხლისათვის „ე" პუნქტისა და მეორე ნაწილის დამატების შესახებ.

განათლება.

80. ბავშვთა შორის სკოლაგარეშე კულტურულ-მასობრივი მუშაობის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო მეურნეობის საერთო საკითხები

71. დადგენილება ს. კ. ს.

113

მატერიალური ბალანსებისა და მასალა-მოწყობილობის განაწილების გეგმების შედგენის წესის შესახებ.

„მატერიალური ბალანსებისა და მასალა-მოწყობილობის განაწილების გეგმების შედგენის წესის შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. სექტემბრის 8-ის № 2078 და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. იანვრის 3-ის № 3 დადგენილებების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაეკისროს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას წლიური და კვარტალური ბალანსებისა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მასალებითა და მოწყობილობით მომარაგების გეგმების შედგენა და აგრეთვე ამ მასალა-მოწყობილობის განაწილება სათანადო პროექტების წარმოდგენით სახალხო კომისართა საბჭოსათვის დასამტკიცებლად.

2. ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული ფუნქციების განსახორციელებლად საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან მოეწყოს მატერიალურ ბალანსთა სექტორი, ხოლო საშენ მასალათა განმანაწილებელი კომისია საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოსთან გაუქმებულ იქნას.

მიენდ ის საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას წარმოუდგინოს სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად აღნიშნული სექტორის შტატი, შეთანხმებული ფინანსთა სახალხო კომისარიატთან.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. მდივანი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის თან. **ვ. ლუნკევიჩი.**

1935 წ. იანვრის 10. № 24.

ტფილისი.

---

72. დადგენილება ს. კ. ს.

სამზომო ხელსაწყოების სავალდებულო ხელახალი დადაღვის შესახებ.

„საზომ საწონთა შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. სექტემბრის 9-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1934 წ. 43 №-ი, მუხ. 352) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. რათა უზრუნველყოფილ იქნას წესიერი მდგომარეობა და ზუსტი მაჩვენებლობა იმ სამზომო ხელსაწყოებისა, რომელთა შემოწმება და დადაღვა სავალდებულოა (სასწორი, საწონი, მეტრი და სხვა სამზომო ხელსაწყო), ჩატარებულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნას საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განმეორებითი სავალდებულო ხელახალი დადგა ზემოაღნიშნულ სამზომო ხელსაწყოებისა, რომელთაც აქვთ 1933 წლისა წინა წლების დაღები და რომლებიც გამოიყენება სახალხო მეურნეობის ელა დარგში და კერძო პირების მიერ.

შენიშვნა. მანომეტრებს, ვაკუუმმეტრებს, მანოვაკუუმმეტრებს, პურეულის პურკებს, სამედიცინო თერმომეტრებს და სხვა სამზომო ხელსაწყოებს, რომელთა დადაღვის ვადაც ყოველწლიურია, ხელახლად უნდა დაესვას დაღი, მიუხედავად 1934 წლის დაღისა.

2. საქართველოს სსრ-ში ყველა ზემოაღნიშნული სამზომო ხელსაწყოს ხელახალი დადაღვის საბოლოო ვადად დადგენილ იქნას 1935 წლის აგვისტოს 15; ამასთანავე, ხელახალი დადაღვის ვადას ცალკეულ რაიონებში განსაზღვრავს უშუალოდ სსრ კავშირის საზომ-საწონთა ცენტრალური სამმართველოს რწმუნებული საქართველოს სსრ-ში; სათანადო სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს ეს ვადა უნდა ეცნობოს არა უგვიანეს, ვიდრე ერთი თვით ადრე მათთვის დადგენილი ვადის გასვლამდე.

3. ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული, სამზომო ხელსაწყოების ხელახალი დადაღვის განსახორციელებლად, ყველა საწარმო, დაწესებულება, ორგანიზაცია და კერძო პირი მოვალეა წარუდგინოს თავისი სამზომო ხელსაწყოები, არა უგვიანეს თვითეული რაიონისათვის დანიშნული ვადისა, სსრ კავშირის საზომ-საწონთა ცენტრალური სამმართველოს რწმუნებულის (საქართველოს სსრ-ში) სამმართველოს (ტფილისი, ჯუღაშვილის ქუჩა, № 18) და სასტაციონარო განყოფილებებს: ბათუმში (ორჯონიკიძის ქუჩა, № 3), ქუთაისში (მე-III ინტერნაციონალის ქუჩა, № 66) და სოხუმში (ლიბკნეხტის ქუჩა, № 27), ან ადგილობრივ სარაიონთაშორისო განყოფილებებს, რომელთა სამყოფელი ადგილი ეა გახსნის ვადა ნაჩვენები უნდა იქნას სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების სათანადო დადგენილებით.

შენიშვნა 1. საძირკველზე დაუმდგარი დიდრონი ხელსაწყოების (სავაგონო სასწორი, ტვირთსაზიდავების სასწორი, სავაგონეტო სასწორი და სხვ.) შემოწმება მოხდება იმ ადგილსავე, სადაც ეს ხელსაწყოებია დადგმული, რისთვისაც ამ ხელსაწყოების გამომყენებელმა საწარმომ, დაწესებულებამ და ორგანიზაციამ უნდა გამოიწვიოს სსრ კავშირის საზომ-საწონთა ცენტრალური სამმართველოს რწმუნებულის (საქართველოს სსრ-ში) წარმომადგენელი ამ ხელსაწყოების შესამოწმებლად.

შენიშვნა 2. ის სამზომო ხელსაწყო, რომელიც აშკარად საჭიროებს რემონტს ან იძლევა არასწორ ჩვენებას, უნდა წარიგზავნოს სარემონტოდ სათანადო სარემონტო სახელოსნოში.

4. დაევალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს—გამოსცენ, სსრ კავშირის საზომ-საწონთა ცენტრალური სამმართველოს რწმუნებულის (საქართველოს სსრ-ში) მიერ დაწესებული ვადების შესა

ბამისად, სათანადო დადგენილებანი, რომლებითაც დაევალება ყველა საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას და კერძო პირს წარადგინოს სამზომო ხელსაწყოები აღნიშნულ ვადაზე დროებითი განყოფილების სამყოფელ ადგილას.

5. ყველა საწარმო, დაწესებულება, ორგანიზაცია და კერძო პირი მოვალეა დაუბრკოლებლად მიუშვას სსრ კავშირის საზომ-საწონთა ცენტრალური სამმართველოს რწმუნებულის (საქართველოს სსრ-ში) ან მისი სარაიონთაშორისო განყოფილების წარმომადგენელი მის ხელთქონებული სამზომო ხელსაწყოების დასათვალიერებლად და შესამოწმებლად, გაუწიოს-რა, ამასთანავე, ხსენებულ წარმომადგენელს დახმარება და წარუდგინოს საჭირო ცნობები.

6. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პირს დაედება საადმინისტრაციო წესით ჯარიმა 300 მანეთამდე (სსრკ კან. კრ. 1935 წ. № 6, მუხ. 47; მუხ. 2', პ. „ბ").

7. მეთვალყურეობა ამა დადგენილების აღსრულებისათვის ეკისრებათ სსრ კავშირის საზომ-საწონთა ცენტრალური სამმართველოს რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში და მის სარაიონთაშორისო რწმუნებულებს, სავაჭრო ინსპექციის ორგანოებს და საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1935 წ. მარტის 19. № 363.
ტფილისი.

15

73. დადგენილება ს.კ.ს.

საზომ-საწონი ხელსაწყოების პასპორტიზაციის ჩატარების შესახებ.

„სამზომო ხელსაწყოების სავალდებულო ხელახალი დადადვის შესახებ" გამოცემული, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. მარტის 19-ის თარიღისა და 363 №-ის დადგენილების დასამატებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მყოფ ყველა სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ სამრეწველო და სავაჭრო ორგანიზაციას, რომელიც იყენებს საზომ-საწონ ხელსაწყოს, ჩაატაროს 1935 წ. მაისის 15-მდე თავის სისტემაში საექსპლოატაციოდ ხმარებული საზომ-საწონის პასპორტიზაცია.

2. საზომ-საწონთა პასპორტიზაცია ჩატარებულ უნდა იქნას სსრ კავშირის საზომ-საწონთა ცენტრალური სამმართველოს მიერ დამტკიცებული პასპორტების ერთიანი ნიმუშის მიხედვით.

3. დაევალოს საზომ-საწონ ხელსაწყოთა გამომყენებელ ორგანიზაციებს— გამოფინონ იმ ადგილას, სადაც საზომ-საწონი ხელსაწყოებია, სასტანდარტო ნიმუშის ცხრილები, ამ ცხრილებზე საზომ-საწონთათვის პასუხისმგებელ პირთა გვარების აღნიშვნით.

4. საზომ-საწონ ხელსაწყოთა პასპორტიზაციის ჩატარებისათვის საჭირო მთელი მუშაობა და ორგანიზაციებისათვის პასპორტებისა და სასტანდარტო ცხრილების მიწოდება დაეკისროს თავდაცვა-ავიაქიმის ამიერკავკასიის საგზაო-სატრანსპორტო განყოფილებას, დაევალოს-რა მას წარუდგინოს საზომ-საწონთა ცენტრალური სამმართველოს რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში ყველა ცნობა ჩასატარებელი მუშაობისა და მისი შედეგების შესახებ.

5. თავდაცვა-ავიაქიმის ამიერკავკასიის საგზაო-სატრანსპორტო განყოფილება მოვალეა შეუდგეს ამა დადგენილების განხორციელებას არა უგვიანეს 1935 წ. აპრილის 15-ისა, საზომ-საწონთა ცენტრალური სამმართველოს რწმუნებულის (საქ. სსრ-ში) უშუალო საერთო ხელმძღვანელობით.

6. კონტროლი და მეთვალყურეობა ამა დადგენილების აღსრულებისათვის დაეკისროს საზომ-საწონთა ცენტრალური სამმართველოს რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში.

7. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავეს დაედება საადმინისტრაციო წესით ჯარიმა 300 მანეთამდე. (სსრკ კან. კრ. 1935 წ. № 6. მუხ. 47; მუხ. 21, ბ. „ბ").

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **გ. თათეიშვილი.**

1935 აპრილის 7. № 463.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 100 №-ში 1935 წ. აპრილის 28.

მშენებლობა

74. დადგენილება ს.კ.ს.

ქალაქების ტერიტორიაზე განსახორციელებელი მშენებლობის ობიექტთა პროექტების განხილვის წესის შესახებ.

„რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე კაპიტალური მშენებლობის სატიტულო სიების, პროექტების და ხარჯთაღრიცხვების დამტკიცების წესის შესახებ" გამოცემული, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. დეკემბრის 16-ის დადგენილების დასამატებლად (სსრკ კან. კრ. 1935 წ. 1-ლი №-ი, მუხ. მე-3), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესებულ იქნას, რომ ქალაქების ტერიტორიაზე განსახორციელებელი მშენებლობის ყველა ობიექტის ტექნიკური პროექტი, ვიდრე იგი დამტკიცდებოდეს კანონით გათვალისწინებული წესისამებრ, აუცილებლად შეთანხმებულ უნდა იქნას სათანადო საქალაქო საბჭოსთან იმ მხრით, თუ რამდენად შეესაბამება ეს პროექტი გენერალურ გეგმას და რამდენად შესაფერისია საარქიტექტურო-სამხატვრო გაფორმება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ქალაქების ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინდივიდუალური სა-ბინაო მშენებლობის ობიექტთა ტექნიკური პროექტების დამტკიცება დაეკისროს სათანადო საქალაქო საბჭოებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1935 წ. მარტის 15. № 332.
ტფილისი.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა.

75. დადგენილება ს.კ.ს

352.1

საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის („სამტრესტის") რეორგანიზაციის შესახებ.

საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სისტემის საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელობის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საბჭოთა მეურნეობების ტრესტი „სამტრესტი" დაწვრილებულ იქნას სადარგო ნიშნების მიხედვით, და მოეწყოს მის ბაზაზე საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სისტემაში: ა) მევენახეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტი, მისთვის „სამტრესტის" სახელწოდების შენარჩუნებით, და ბ) მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტი.

2. მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის შედგენილობაში მოთავსებულ იქნას შემდეგი საბჭოთა მეურნეობანი:

ა) მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობანი: ბაშკიჩეთისა, ყარაბულახისა, ბოგდანოვკისა, ახალქალაქისა, „ნორიო", ციხისჯვარისა, ელდარისა, „უდაბნო", ძველი-სენაკისა და „ინტერნაციონალი";

ბ) შირაქის და ალაზნის მეცხოველეობა-მემინდვრეობის საბჭოთა მეურნეობანი, აგრეთვე მეცხოველეობის ზონალური სადგური.

3. მევენახეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის „სამტრესტის" შედგენილობაში მოთავსებულ იქნას შემდეგი საბჭოთა მეურნეობანი, დამმზადებელი პუნქტები, სამრეწველო და სავაჭრო საწარმონი და სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებანი:

ა) მევენახეობის საბჭოთა მეურნეობანი: წინანდლისა, ნაფარეულისა, მუკუზნისა, კარდანახისა, ყვარლისა, ხირსისა, მანავისა, კუკლარისა, გიაურ-არხისა, ალაიანისა, კვერნაკისა, ვაჩევისა, არგვეთისა, ვარციხისა, ვაზისუბნისა, მუხრანისა, სალხინოს და ბახვისა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ხილბოსტნეულის საბჭოთა მეურნეობანი: ბრეთისა, ვარიანისა, ბენინისა, ბებნისისა, მერეთისა, ახალსოფლისა, ანაკლიისა, იანეთისა, ჩაქვისა და ყარაიას;

გ) დამმზადებელი პუნქტები: გურჯაანისა, ზესტაფონისა, ჩხარისა, ხორაგოულისა, სიღნაღისა თელავისა, ყვარლისა, ბაღდადისა, ვანისა, და ქუთაისისა;

დ) სამრეწველო საწარმონი: ღვინის ქარხანა № 1 და 2, შამპანურის ქარხანა № 3, კონიაკ-ლიქიორის ქარხანა № 4, არყის ქარხანა № 5, სარექტიფიკაციო ქარხანა „ჭაჭა“ № 6, სპირტსახდელი ქარხანა გომში, ძმრის ქარხანა, ხე-ტყის სახერხი ქარხანა და აგურის ქარხანა;

ე) სავაჭრო საწარმონი: მოსკოვისა, ბაქოს, როსტოვისა, ორჯონიკიძისა, ოდესისა, კიევისა და შუა-აზიისა; აგრეთვე სოხუმის ბაზა;

ვ) სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებანი: საქარის სამეცნიერო-საცდელი სადგური, ზონალური სადგური სკრაში, ბაკურციხის და ენისლის ტექნიკუმები.

4. დატოვებულ იქნას მევენახეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის „სამტრესტის“ შედგენილობაში მახარაძისა და ჩოხატაურის დამმზადებელი პუნქტები 1935 წ. აგვისტოს 1-მდე, რის შემდეგაც ეს პუნქტები გადაეცეს სათანადო სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს.

მიენდოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას ერთი თვის ვადაზე:

ა) დაადგინოს მახარაძისა და ჩოხატაურის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების მიერ სასყიდლის გაღების წესი და ვადები მათთვის გადასაცემი დამმზადებელი პუნქტების ქონებისათვის;

ბ) წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მოსაზრებანი ქუთაისის საქალაქო საბჭოსათვის სარაიონო დამმზადებელი პუნქტის (სარდაფითურთ) გადაცემის მიზანშეწონილობის შესახებ.

5. ღვინისა და ყურძნის დამზადება საქართველოს სსრ-ის ყველა რაიონში, ამა დადგენილების მე-4 მუხლში აღნიშნული რაიონების გარდა, დაეკისროს მევენახეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტს „სამტრესტს“, რომელსაც დაევალოს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების ყურძენგადამმუშავებელ საწარმოთათვის ნედლეულის მიწოდება საქართველოს სსრ ეკონომიური საბჭოს მიერ ყოველწლიურად დამტკიცებული ამ საწარმოთა საწარმოო გეგმების შესაბამისად.

6. მევენახეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტსა და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტს შორის ძირითადი ქონებისა და სასაქონლო-სამატერიალო ფასეულობის განაწილება უნდა მოხდეს აქტივით და პასივით 1935 წ. იანვრის 1-ისთვის არსებული მდგომარეობის კვალობაზე, და ამ განაწილებას საფუძვლად უნდა დაედვას საბჭოთა მეურნეობების ტრესტის „სამტრესტის“ 1935 წ. იანვრის 1-ის პროვიზორული ბალანსი, ამ ბალანსის შემდგომი გაზუსტებით ტრესტის წლიური ანგარიშის მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულ იქნას ძირითადი ქონებისა და სასაქონლო-სამატერიალო ფასეულობის გაყოფა, აქტივით და პასივით, ზემოაღნიშნულ ტრესტებს შორის 1935 წ. იანვრის 1-ის პროვიზორული ბალანსის მიხედვით ამასთანავე დართული ნუსხის თანახმად (იხ. დანართი).

7. საკუთარ საბრუნავ სახსართა რაოდენობა განისაზღვროს:

ა) მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტისა—8.475.000 მან. თანხით, რაც იფარება ამ ტრესტის საბჭოთა მეურნეობების სასაქონლო-სამატერიალო ფასეულობით;

ბ) მევენახეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის „სამტრესტისა"—31.300.000 მან. თანხით (საიდანაც 28.000. 000 მან. დაკრედიტებულია სახელმწიფო ბანკის მიერ).

მიენდოს სახელმწიფო ბანკის საქართველოს კონტორას შეამოწმოს რეორგანიზებული საბჭოთა მეურნეობების ტრესტის „სამტრესტის" დაკრედიტებული სასაქონლო-სამატერიალო ფასეულობანი და, ამ ფასეულობათა გამორკვეული რაოდენობის შესაბამისად, გადაიტანოს ახლად მოწყობილი მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის საბჭოთა მეურნეობებზე საგეგმო სესხთა ხაზით დავალიანების სათანადო ნაწილი.

8. მთელი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, როგორც საბჭოთა მეურნეობების „სამტრესტის" საწყობებში დაცული, ისე გეგმით მისაღები, განაწილებულ იქნას ახლად მოწყობილ ტრესტთა შორის, ამ ინვენტარის სამეურნეო დანიშნულებისა და საბჭოთა მეურნეობების სადარგო ხასიათის შესაბამისად.

9. საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ წარმოდგენილი, ახლად მოწყობილი მევენახეობა-მეხილეობისა და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტთა აპარატების სტრუქტურა დადასტურებულ იქნას.

დროებით, საქართველოს სსრ სამეურნეო ორგანიზაციების სტრუქტურისა და შტატების საერთო გადასინჯამდე, დამტკიცებულ იქნას ზემოაღნიშნული ტრესტების საშტატო კონტინგენტები შემდეგი რაოდენობით:

ა) მევენახეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის „სამტრესტისათვის"—135 ერთეული;

ბ) მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტისათვის—66 ერთეული.

10. მიენდოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს:

ა) გაანაწილოს ახლად მოწყობილ ტრესტებს შორის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის „სამტრესტის" ქონება, რაც საბჭოთა მეურნეობების გარეშეა (საწყობები, სახელოსნოები, ტრანსპორტი, დასვენების სახლები და სხვ.), აგრეთვე პურ-ფურაჟის რესურსები—დამტკიცებული პურ-ფურაჟის ბალანსით;

ბ) დაამტკიცოს ახლად მოწყობილი ტრესტების წესდებანი, საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან მათი საწესდებო კაპიტალების რაოდენობის შეთანხმებით.

11. დაევალოს მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებისა და მევენახეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტებს—დაამთავრონ 1935 წ. ივლისის 1- მდე მთლად მათ შედგენილობაში შემავალი ყველა საბჭოთა მეურნეობისა და საწარმოს სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანა.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1935 წ. აპრილის 13. № 480.

ტფილისი.

ნუსხა

1935 წლის პროვიზორული ბალანსით ძირითადი ქონების და სასაქონლო-სამატერიალო ფასეულობის განაწილებისა მევენახეობა-მელვინეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტს „სამტრესტსა" და მეცხოველეობის მეურნეობების ტრესტს შორის.

	„სამტრესტი"	მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტი
აქტივი.		
1. ძირითადი სახსარი	84.471	33.829
2. საკუთარი საბრუნავი სახსრით დასაფარავი აქტივები	31.301	8.475
3. სხვა აქტივები	55.536	9.678
აქედან ანგარიშები	14.220	1.580
4. გეგმითი ზარალი	—	2.280
პასივი.		
1. ძირითად სახსართა იმობილი აქტივების დაფარვის წყაროები	84.471	33.829
აქედან: საწესდებო ფონდები	58.926	30.609
საამორტიზაციო ფონდები	8.645	1.955
2. ნორმალიზებული სასაქონლო-სამატერიალო ფასეულობათა დაფარვის წყაროები	31.301	8.475
აქედან: საწესდებო ფონდები	1.808	6.543
სახელმწიფო ბანკი	28.036	—
3. სასაზონო მატერიალური ფასეულობის და სხვა აქტივების დაფარვის წყაროები	70.022	9.678
აქედან: სახელმწიფო ბანკი სესხის ხაზით . .	42.007	6.903
კრედიტორები	17.680	2.120

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომუნალური და საბინაო მეურნეობა

76. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

ეროვ. 1938-16-74

საბინაო-საიჯარო კოოპერაციის სახლთმეურნეობებში სამეურნეო ანგარიშის საფუძვლების განმტკიცებისა და სახსართა შექმნის და ხარჯვის წესის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. შეწყვეტილ იქნას 1935 წლის იანვრის 1-დან კომუნალური ორგანოების მიერ საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობათათვის იმ საცხოვრებელი შენობების საიჯარო ქირის გადახდევინება, რაც მათ გადაცემული აქვთ საექსპლოატაციოდ ხელშეკრულების საფუძველზე.

2. რათა საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობათა სახლებში უზრუნველყოფილ იქნას კაპიტალური რემონტის ნორმალური წარმოება, აგრეთვე კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მშენებლობა და გაწყობა და საბინაო-კოოპერატიულ მომუშავეთა კადრების მომზადება, შეიქმნას საბინაო კოოპერაციის კაპიტალების შედგენილობაში შემდეგი მიზნობრივი ფონდები:

ა) კაპიტალური რემონტის ფონდი, რომელიც შეიქმნება თვითეული საბინაო-საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობის კაპიტალების შედგენილობაში ამ ამხანაგობის საერთო შემოსავლის ყოველთვიური ანარიცხების გადადებით: ქვის შენობებისათვის—სამშენებლო ღირებულების 0,5%-დან 1%-მდე და ხისა და შერეული შენობებისათვის—სამშენებლო ღირებულების 1%-დან 2%-მდე;

ბ) კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა (საბავშვო ბაგები, სამრეცხაოები, სასადილოები, წითელი კუთხეები და სხვ.) მშენებლობისა და გაწყობის ფონდი და საბინაო-კოოპერატიულ მომუშავეთა კადრების მომზადების ფონდი, რომლებიც შეიქმნება საბინაო კოოპერაციის პირველადი საკავშირო რგოლეულის შედგენილობაში (საბინაო კოოპერაციის საქალაქო კავშირის, ხოლო იმ ქალაქებში, რომელთაც სარაიონო საბჭოები ჰყავთ,—სარაიონო კავშირის) საბინაო ქირის სპეციალური ანარიცხებისაგან: პირველისათვის—9% რაოდენობით და მეორისათვის—1% რაოდენობით.

3. გარდა მე-2 მუხლში აღნიშნული ფონდებისა, საბინაო კოოპერაციის პირველადი რგოლეულის (საქალაქო საბინაო კავშირში, ხოლო იმ ქალაქებში, რომელთაც სარაიონო საბჭოები ჰყავთ,—სარაიონო საბინაო კავშირში) კაპიტალების შედგენილობაში დაწესებულ იქნას რეგულირების ფონდი, რომელიც შეიქმნება მე-4 მუხლის „ბ“ პუნქტში აღნიშნული თანხებისაგან და დანიშნული იქნება მხოლოდ კაპიტალური რემონტის ხარჯებისათვის მცირეშემოსავლიან საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. დაწესებულ იქნას საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობათა სახლებში არსებული არასაცხოვრებელი სადგომების (სავაჭრო-სასაწყობო, საწარმოო, საკონტორო-საკანცელარიო და სხვ.) საიჯარო ქირის საერთო შემოსავლის შემდეგი განაწილება:

ა) 50% მიიქცევა ადგილობრივ (საქალაქო, სასოფლო) ბიუჯეტში;

ბ) 45% გადადის საბინაო კოოპერაციის საქალაქო (სარაიონო) კავშირის რეგულირების ფონდში;

გ) 5% გადადის საბინაო-საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობის განკარგულებაში.

5. ყველა სახის არასაცხოვრებელი სადგომების (სავაჭრო, სავაჭრო-სასაწყობო, საწარმოო, საკონტორო-საკანცელარიო და სხვ.) მოიჯარე, გარდა საიჯარო ქირისა, ყოველთვიურად გადაუხდის საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობას, პროპორციულად მის მიერ დაჭერილი არასაცხოვრებელი ფართობისა, ამხანაგობის ფაქტიურ ხარჯს შენობის მმართველობის, ექსპლოატაციისა და რემონტის საქმეში.

6. დაწესებულ იქნას, რომ საბინაო-საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობის საადმინისტრაციო-სამმართველო ხარჯი არ უნდა აღემატებოდეს 6 კაპიკს საცხოვრებელი ფართობის 1 კვადრატულ მეტრზე თვეში.

7. საბინაო კოოპერაციის საკავშირო რგოლეულების შესანახად საბინაო-საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობანი ყოველთვიურად გადარიცხავენ და გადასცემენ უახლოეს ზემდგომ საკავშირო რგოლეულს (საქალაქო, სარაიონო საბინაო კავშირს) 2 კაპიკს საცხოვრებელი ფართობის თვითეულ კვადრატულ მეტრზე.

8. საშემოსავლო-საგასავლო ხარჯთაღრიცხვებს და სარემონტო სამუშაოების გეგმებს განიხილავენ საქალაქო (სარაიონო) საბინაო კავშირები, კომუნალური მეურნეობის ორგანოებთან ერთად, და ეს ხარჯთაღრიცხვები და გეგმები ჯუმლობრივ წარედგინება დასამტკიცებლად საქალაქო საბჭოებს.

9. საბინაო კოოპერაციის საქალაქო (სარაიონო) კავშირები წარუდგენენ სათანადო კომუნალურ და საფინანსო ორგანოებს კვარტალურ ანგარიშებს რეგულირების ფონდების ხარჯვის შესახებ.

10. დაევალოს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს და საბინაო კოოპერაციის კავშირს ერთი თვის ვადაზე:

ა) შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი საბინაო კოოპერაციის საშუალო და ძირეული რგოლეულების (საქალაქო და სარაიონო კავშირები და საბინაო-საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობანი) საწარმოო და სამეურნეო მუშაობის გასაქლიერებლად, რისთვისაც უნდა შევიწროვდეს ზემდგომი რგოლეულების ოპერატიული ფუნქციები და ამით მიეცეს ძირეულ და საშუალო რგოლეულებს მეტი თვითმოქმედების საშუალება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) შეამოწმონ საანგარიშო კონტორების მუშაობა, რათა გაძლიერდეს შრომისუნარიანობა, გამარტივდეს საანგარიშო მუშაობა და დაჩქარდეს საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობათა ანგარიშგების წარდგენა.

11. წინადადება მიეცეს საქალაქო საბჭოებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს იხმარონ ღონისძიებანი, რათა გადაჭრით ლიკვიდირებულ იქნას მოქმედი კანონმდებლობისა და საბინაო-საიჯარო კოოპერაციის უფლებების დარღვევა (კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა საცხოვრებელი ფართობისა და სადგომების უკანონო ჩამორთმევა, საბინაო-კოოპერატიულ ამხანაგობათა ლიკვიდაცია საადმინისტრაციო წესით და სხვ.), და პასუხისგებაში მისცენ ის პირები, რომელნიც არღვევენ რევოლუციურ კანონიერებას საბინაო მეურნეობის სფეროში.

დაევალოს იუსტიციის სახალხო კომისარიატს მისცეს პროკურატურის ორგანოებს მითითებანი საბინაო-საიჯარო კოოპერაციის უფლებათა დარღვევის გამო აღძრული საქმეების სასწრაფოდ განხილვისათვის,

12. დაევალოს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს, საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან და საბინაო კოოპერაციის კავშირთან შეთანხმებით, გამოსცეს ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის და აგრეთვე საშემოსავლო-საგასავლო ხარჯთაღრიცხვა და ტიპური ხელშეკრულება საცხოვრებელი სადგომების იჯარის შესახებ.

13. გაუქმებულ იქნას:

ა) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის აპრილის 14-ის დადგენილება „მცირეძალოვან საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობათა დაფინანსების სპეციალური საქალაქო ფონდების შექმნის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ 1933 წ. 12 №-ი, მუხ. 160);

ბ) „ადგილობრივი საბჭოების ქონებისათვის მიკუთვნებულ საცხოვრებელ შენობათა საიჯარო ქირის განაკვეთების სანიმუშო დიფერენცირებული შკალის შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის აგვისტოს 18-ის დადგენილების მე-3 მუხლის შენიშვნა (საქ. სსრ. კან. კრ. 1933 წ. 12 №-ი, მუხ. 160, კარი III);

გ) მუნიციპალიზებული საბინაო ფონდის სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანასთან და სახლთა ტრესტების და საბინაო-საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობების დაწვრილებასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა შესახებ“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის თებერვლის 14-ის დადგენილების მე-4 მუხლი (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-4 №-ი, მუხ. 40).

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1935 წ. მარტის 29. № 30/284.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფ ი ნ ა ნ ს ე ბ ი

77. დადგენილება ს.კ.ს.

741.3

ამიერკავკასიის სატყეო-სატექნიკო ინსტიტუტისათვის და ტფილისის სატყეო-სატრანსპორტო ტექნიკუმისთვის გრძელვადიან სარგებლობაში გადაცემული ტყის ფართობებიდან მიღებული სატყეო შემოსავლის გამოყენების წესის შესახებ.

„თვითდამზადებისათვის გაცემული ძირეული ტყის საფასურის გადახდის შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის იანვრის 3-ის დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1932 წ. № 1, მუხ. 3) შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. გადაცემულ იქნას ამიერკავკასიის სატყეო-სატექნიკო ინსტიტუტისა და ტფილისის სატყეო-სატრანსპორტო ტექნიკუმის განკარგულებაში კუთვნილებისამებრ ყველა სატყეო შემოსავალი, მიღებული ამ სასწავლებელთათვის გრძელვადიან სარგებლობაში გადაცემული ტყის ფართობებიდან

2. აღნიშნული სატყეო შემოსავალი მთლიანად ხმარდება გამოყოფილ ფართობებზე სატყეო მეურნეობის წარმოების ღონისძიებათა ჩატარების საქმეს, ტყის მრეწველობის სახალხო კომისარიატის სათანადო ორგანოთა მიერ დამტკიცებული გეგმების მიხედვით.

3. კონტროლი სატყეო შემოსავლის სწორი გამოანგარიშებისა და ამ შემოსავლის მიზნობრივი დანიშნულებისამებრ გამოყენების სფეროში დაეკისროს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1935 წ. იანვრის 4. № 13.
ტფილისი.

---

78. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

1935 წელს სრულიად საკავშირო სააქციო საზოგადოება „ინტურისტის“ ყველა ადგილობრივი გადასახადისა და გამოსალებისაგან განთავისუფლების შესახებ.

„სრულიად საკავშირო სააქციო საზოგადოება „ინტურისტისთვის“ საგადასახადო შეღავათების მინიჭების შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1935 წ. თებერვლის 28-ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილების თანახმად, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. განთავისუფლებულ იქნას 1935 წელს სრულიად საკავშირო სააქციო საზოგადოება „ინტურისტის" საწარმონი, რომლებიც საქართველოს სსრ-ისა და მის შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიურ ოლქის ტერიტორიაზეა, ყველა ადგილობრივი გადასახადისაგან და გამოსაღებისაგან.

2. წინადადება მიეცეს ყველა საქალაქო საბჭოს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს დაუბრუნოს სააქციო საზოგადოება „ინტურისტს" ყველა ის თანხა, რაც გადახდევინებულია 1935 წ. იანვრის 1-დან ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღების სახით 1935 წლისათვის, გარდა იმ თანხებისა, რომლებიც გათვალისწინებულ იყო პროდუქციის საგასაცემო ფასებისა და მომსახურეობის გაწევის კალკულაციით, და რომლებიც უკვე გადახდათ მომხმარებელთ.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1935 წ. მარტის 29. № 21/422.
ტფილისი.

ᲨᲠᲝᲛᲐ

79. ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ Ц.Ა.Კ. ᲓᲐ Ს.Კ.Ს.

სტიქიურ უბედურებასთან საბრძოლველად შრომის ბეგარის დაწესების თაობაზე გამოცემული დადგენილების 18 მუხლისათვის „ე" პუნქტისა და მეორე ნაწილის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სტიქიურ უბედურებასთან საბრძოლველად შრომის ბეგარის დაწესების შესახებ 1932 წლის მაისის 13-ის გამოცემული დადგენილების (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. 16 №-ი, მუხ. 127) 18 მუხლს დაემატოს:

1) პუნქტი „ე" შემდეგი შინაარსისა:

[18. შრომის საჭაპანზიდვო ბეგარაზე არ შეიძლება გამოყენებულ იქნას: . . . . . .]

„ე) მაკე ჭაკი ცხენი ორი თვის განმავლობაში კვიცის მოგებამდე და ერთი თვის განმავლობაში კვიცის მოგების შემდეგ";

ეროვნული ბიბლიოთეკა

2) მეორე ნაწილი შემდეგი შინაარსისა:

„არ შეიძლება გამოყენებულ იქნას მძიმე სამუშაოზე ხნოვანობით 3 წლისაზე მცირე ცხენი, მაკე ჭაკი ცხენი 5 თვის განმავლობაში კვიცის მოგებამდე და ჭაკი ცხენი, რომელსაც ჰყავს ძუძუმწოვარა კვიცი 3 თვის ხნოვანობამდე".

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. ბ. მდივანი.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი თ. ჟღენტი.

1935 წ. მარტის 29. № 29/278.

ტფილისი.

ბ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

80. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

ბავშთა შორის სკოლაგარეშე კულტურულ-მასობრივი მუშაობის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავენ ბავშვთა შორის სკოლაგარეშე კულტურულ-მასობრივი და აღმზრდელობითი მუშაობის არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობას.

ახალი თაობის კომუნისტური აღზრდის საქმის ამ მეტად მნიშვნელოვანი მხარის ჩამორჩენა უპირველეს ყოვლისა იმით აიხსნება, რომ სახალხო განათლების ორგანოები, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი, საბჭოები და აღმასრულებელი კომიტეტები, საწარმონი და კოლმეურნეობანი, პროფესიონალური და კომკავშირის ორგანიზაციები, საბინაო-საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობანი, კოოპერაცია და სასპორტო ორგანიზაციები უმოქმედობას იჩენენ ბავშთა შორის სკოლაგარეშე კულტურულ-მასობრივი მუშაობის საქმეში და ამ მუშაობას სათანადოდ ვერ აფასებენ.

რათა აღნიშნული ნაკლულოვანებანი დაუყოვნებლივ თავიდან აცილებულ იქნას და ბავშთა შორის სკოლაგარეშე კულტურულ-მასობრივი მუშაობა აყვანილ იქნას კომუნისტური აღზრდის ამოცანების სიმაღლეზე, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. წინადადება მიეცეს აფხაზეთისა და აჭარისტანის ავტონომიური რესპუბლიკებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს, მათი თავმჯდომარეების პირადი პასუხისმგებლობით, მასწავლებლობისა, კომკავშირის და პიონერთა ორგანიზაციებისა და მშრომელთა აქტიური მონაწილეობით, მოაწყონ ქალაქისა და სოფლის დაწყებითს, არასრულ საშუალო

ეროვნული ბიბლიოთეკა

და საშუალო სკოლებთან საბავშვო ბიბლიოთეკები, საკლუბო ოთახები, და სასპორტო მოედნები, უზრუნველყონ მოსწავლეთა თვითმოქმედი წრეების, ტექნიკური და ავიო-მოდელების წრეების ორგანიზაცია, მოაწყონ ქალაქებსა და სარაიონო ცენტრებში სასპორტო ბაზები, ახალგაზრდობის კულტურის სახლები, სარაიონო საბავშვო ბიბლიოთეკები და ტექნიკური სადგურები, რისთვისაც ფართოდ გამოიყენონ საბჭოთა მოწინავე ქალაქების გამოცდილება, და აგრეთვე მიჰმართონ ახალგაზრდობის კულტმომსახურეობის სხვა ფორმებს.

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს— ასახოს ადგილობრივ ბიუჯეტში 1935 წლიდან აღნიშნული ღონისძიების სათანადო დაფინანსება, ხოლო საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს—გამოიყენოს სხვადასხვა ორგანიზაციების მატერიალური მონაწილეობა და მოსახლეობის ნებაყოფლობითი ინიციატივა.

2. წინადადება მიეცეს საქალაქო საბჭოებს: ა) უზრუნველყონ ბავშვთა შორის კულტურულ-მასობრივი მუშაობის სათანადოდ დაყენება საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობებსა და მუშათა საერთო საცხოვრებლებში, რისთვისაც გამოიყენონ თვით საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობათა, საწარმოთა და მშრომელთა ინიციატივა და აქტიური მონაწილეობა; ბ) მუშათა სახლების მშენებლობის დროს სავალდებულო წესით გაითვალისწინონ ბავშვთა სკოლაგარეშე დაწესებულებების უზრუნველყოფა სათანადო სადგომებით და გაწყობილობით, თანახმად საქართველოს სსრ განათლებას სახალხო კომისარიატის წინადადებისა.

3. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან ერთად, ორი დეკადის ვადაზე დაამუშაოს საკითხი არსებული კლუბებისა, კულტურის სახლებისა, სასპორტო მოედნებისა, დარბაზებისა და სხვ. ბავშვთა კულტმომსახურეობის საქმეში მონაწილეობის შესახებ და განახორციელოს ეს მონაწილეობა, რისთვისაც გამოყოს სპეციალური დღეები და საათები და უზრუნველყოს სათანადო ხელმძღვანელობა.

4. წინადადება მიეცეს ყველა უწყებასა და ორგანიზაციას, რომლის გამგებლობაშიაც არის კინო, თეატრი, სათეატრო დარბაზი და სხვ., გაითვალისწინოს თავის გეგმაში სისტემატური მონაწილეობის მიღება ბავშვთა კულტურული მომსახურეობის საქმეში სკოლის აღმზრდელობითი მიზნებისათვის შესაფერისი დადგმებით და კინო-ფილმებით ისე, რომ ამ დადგმებისა და კინოფილმების ფასი ხელმისაწვდომი იყოს.

დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს და მის ადგილობრივ ორგანოებს-უზრუნველყონ კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებებში ბავშვთა ორგანიზებული სიარული უსათუოდ მასწავლებელთა ხელმძღვანელობით.

5. დაევალოს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირს, ხელოვნებიე მუშაკთა კავშირს და განათლების მუშაკთა კავშირს, ყველა მუსიკალურ და სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხატვრო ორგანიზაციას და სამეცნიერო დაწესებულებას, საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატთან და საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტთან ერთად, 1935 წ. აპრილის 15-მდე შეიმუშაონ კონკრეტული გეგმა თავისი მონაწილეობისა ბავშვთა კულტმომსახურეობის მუშაობაში.

6. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატთან და საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტთან ერთად, ორი დეკადის ვადაზე დაამუშაოს საკითხი ქალაქებსა და სარაიონო ცენტრებში ახალგაზრდობის აგრობიოლოგიური სადგურების მოწყობის შესახებ, თანაც გამოიყენოს ამ საქმეში საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების შესაძლებლობანი და აგროტექნიკური ძალები.

7. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს და მის ადგილობრივ ორგანოებს ერთი თვის ვადაზე შეიმუშაონ და წარუდგინონ დასამტკიცებლად სათანადო საქალაქო საბჭოებს ბავშვთა შორის სკოლაგარეშე მუშაობის ხაზით ქალაქის ბულვარების, მოედნებისა და ბაღების გამოყენების გეგმა, ამასთან გაითვალისწინონ გეგმაში სათანადო გაწყობილობა.

8. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს მოაწყოს ტფილისში ბავშვთა მხატვრული აღზრდის სახლი. საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატმა უნდა უზრუნველყოს აღნიშნული ღონისძიების განხორციელება სათანადო დაფინანსებით 1935 წლის საბიუჯეტო წლიდან.

9. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს არა უგვიანეს 1935 წლის მაისის 1-ისა დაამუშაოს საკითხი 1935/36 წელს ნორჩ მაყურებელთა თეატრის ქსელისა და სკოლების კინოფიკაციის და რადიოფიკაციის გაფართოების შესახებ და წარმოუდგინოს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

10. წინადადება მიეცეს საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობას, საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, ორი დეკადის ვადაზე დაამუშაოს და წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. საბავშვო გამომცემლობის გეგმა (მხატვრული და სამეცნიერო პოპულარული ლიტერატურა და პერიოდული გამოცემანი).

11. წინადადება მიეცეს საქართველოს ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს და წყლის ტრანსპორტის განვითარების დამხმარე საზოგადოებას, საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატთან ერთად, ერთი თვის ვადაზე დაამუშაოს ყველა სასპორტო ორგანიზაციასთან საბავშვო სექციების მოწყობის გეგმა და წარმოუდგინოს იგი დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

12. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ პროლეტარული ტურიზმისა და ექსკურსიების საზოგადოებას მოაწყოს პროლეტარული ტურიზმისა და ექსკურსიების საბავშვო სექციები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

13. რათა სკოლაგარეშე კულტურულ-მასობრივი მუშაობა ბავშვთა შორის სათანადო სიმაღლეზე იქნას დაყენებული, ყველა დაწყებითს, არასრულ საშუალო სკოლაში, სადაც მოსწავლეთა რიცხვი 300-ზე მეტია, დაწესებულ იქნას სკოლაგარეშე მუშაობის პედაგოგთა შტატი.

14. წინადადება მიეცეს ყველა სკოლის დირექტორს (გამგეს) სასწავლო წლის განმავლობაში მეცადინეობისაგან თავისუფალ დროს მოაწყოს ხოლმე ბავშვთა დღესასწაულები, თვითმოქმედი მხატვრული საღამოები და სხვ., თანაც უზრუნველყოს მშობლებისა და სასკოლო ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობა ამ საქმეში.

15. ბავშვთა შორის სკოლაგარეშე მუშაობის საორგანიზაციო-სამეთოდო ხელმძღვანელობის გაძლიერების მიზნით, მოეწყოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატთან სკოლაგარეშე მუშაობის განყოფილება.

16. დაევალოს ა/კსფსრ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამართველოს საქართველოს სსრ-ში ერთი დეკადის ვადაზე აღკვეთოს ქუჩებში მოსწავლეთა საწვრილმანო ვაჭრობის შემთხვევები, გამოარკვიოს ვაჭრობაში შემჩნეულ ბავშვთა მშობლები და შეუფარდოს მათ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახდელი.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. მდივანი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1935 წ. მარტის 29. № 23/282.
ტფილისი.

სისხლის სამართალი

81. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

„არასრულწლოვანთა შორის დანაშაულობასთან ბრძოლის ღონისძიებათა თაობაზე“ გამოცემულ, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. აპრილის 7-ის დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

„არასრულწლოვანთა შორის დანაშაულობასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. აპრილის 7-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ ცენ.აღმ. კ-ტის „იზვესტიას“ 84 №-ი 1935 წ. აპრილის 8-ისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში (1933 წლის გამოცემა) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

1. მე-11 მუხლის პირველი ნაწილი მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„სამკურნალო-საპედაგოგიკო ხასიათის სოციალური დაცვის ღონისძიება აუცილებლად შეეფარდება მცირეწლოვანს 12 წლამდე. ესევე ღონისძიება შეეფარდება, ამა კოდექსის მე-11¹ მუხლით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, იმ არასრულწლოვანს 12-დან 16 წლამდე, რომლისთვისაც არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა საქმეების კომისია საქმარისად მიიჩნევს საკურნალო-საპედაგოგიკო ხასიათის ღონისძიებას, სამართალში მიუცემლად“.

2. მე-11 მუხლის მეორე ნაწილში სიტყვები: „13-დან 16 წლამდე“ შეიცვალოს სიტყვებად: „12-დან 16 წლამდე“.

3. მე-11 მუხლის მესამე ნაწილი გაუქმებულ იქნას.

4. დაემატოს კოდექსს მე-11¹ და 82¹ მუხლები შემდეგი შინაარსისა:

„11¹. არასრულწლოვანი 12 წლის ასაკიდან, მხილებული ქურდობაში, ძალადობაში, სხეულის დაზიანებაში, დაშავებაში, მკვლელობაში ან მკვლელობის ცდაში, პასუხს აგებს სასამართლო წესით სისხლის სამართლის სასჯელის ყველა ღონისძიების (სასამართლო-გამასწორებელი) შეფარდებით საერთო საფუძველზე“.

„82¹. არასრულწლოვანის წაქეზება სხვადასხვა დანაშაულისათვის ან დანაშაულში ჩაბმა, აგრეთვე არასრულწლოვანის იძულება სპეკულაციისათვის, პროსტიტუციისათვის, მათხოვრობისათვის და სხვა მისთ. გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას არა ნაკლებ ხუთი წლისა“.

5. ამოიშალოს:

ა) 166 მუხლის მეორე ნაწილიდან სიტყვები: „აგრეთვე შვილის იძულება მათხოვრობისათვის“;

ბ) 172 მუხლის მეორე ნაწილიდან სიტყვები: „ან სრულწლოვანობას არ იყო მიღწეული“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ულენტი.**

1935 წ. აპრილის 20. № 31/496.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 95 №-ში 1935 წ. აპრილის 22.

ეროვნული ბიბლიოთეკა

82. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სამხედრო დანაშაულთა დებულების (სისხლის სამართლის კოდექსის დანართი) 1-ლი მუხლის შეცვლის შესახებ.

სამხედრო დანაშაულთა დებულების მოქმედების სამოქალაქო საჰაერო ფლოტის თავმდგომთა შედგენილობის პირებზე გავრცელების შესახებ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წლის დეკემბრის 7-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1935 წ. 1 №-ი, მუხ, 4), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სამხედრო დანაშაულთა დებულების 1-ლი მუხლის მეორე ნაწილში (სისხლის სამართლის კოდექსის დანართი—საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. 19 №-ი, მუხ. 170) შემდეგ სიტყვებისა: „წყალქვეშა სამუშაოების ექსპედიციის („ეპრონი") მომუშავე" ჩაემატოს სიტყვები: „სამოქალაქო საჰაერო ფლოტის თავმდგომთა შედგენილობის პირი".

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. მდივანი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ულენტი.**

1935 წ. მარტის 29. № 15/277.

ტფილისი.

ფასი 40 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ ს. კ. ს-ოს / საქმ. მმართველობა 1935 წ. № 27. პ/მ. რედაქტორი **ე. გამრეკელი**

ქაღალდის ფორმატი 62×94 სანტ.; 1¼ ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი

ბადეცა სტამბას 4/V; ხელმოწერილია დასაბეჭდად 31 /V; ტირაჟი 1.800

მთავლ. რწმ. ს.—№ 8743. საქ. სსრ სახ. კომ. საბჭოს სტამბა. შეკვ. № 696